მწყემსი

№ 4.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Шорапанъ. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: არა ოფიციალური ნაწილი. სასულიერო უწყების გამომძიებელნი. — წერილები ათონიდამ. — საზოგადოების აზრი, მისი გავლენა მომქმედზე და მისი გამომთქმელნი. — სემინარიელების მდგომარეობა კურსის გასრულების შემდეგ. — წერილები რედაქტორთან: ქუთაისიდამ. — საჭიროა თუ არა ბლაღოჩინისათვის საკუთარი ღერბი? — სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები. — სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე. სიტყვა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა. — სად არიან საქართველოს ივერიის ღვთის-მშობლის ხატი და კვართი უფლისა? — ცხოვრება ღირსისა მამისა ჩვენისა იოანნე გლახაკისა. — მიბაძვა 146 ფსალმუნისა. — დავით წინასწარმეტყველი. — ნარევი.

არა ოფიციალური ნაწილი.

სასულიერო უწყების გამომძიებელნი.

Yველამ კარგათ იცის, თუ როგორ მიდიოდა 1864 წლამდე მთელს რუსეთის იმპერიაში სასამართლო საქმეების წარმოება. დაფარული საქმის წარმოების მომხრენი თითქმის აღარავინ იყო. ყველა დიდის სიხარულით მოელოდა ახალ სამართალს და ახალი სასამართლო საქმის წარმოებას. ხალხი თავის იმედში მაინც არ დარჩენილა მოტყუებული. 1864 წელში მოხდა ცვლილება, რომელმაც სულ სხვა ნაირად შეცვალა ყველა სასამართლო საქმების წარმოება. მხოლოდ ერთ სასულიერო წოდებაში ძველი წესები დაშთა შეურყევლად; ყოველ ნაირი საქმის წარმოება ამ წოდებაში მტკიცედ და შეუცვლელად რჩება დღემდისინ. 1841 წლის კონსისტორიის წესდება ხელახლა გამოიცა Oწმიდესი Sინოდის სხვა-და-სხვა განჩინებათა დამატებით. საქმის გამოძიება და წარმოება ჩვენს წოდებაში მიდის ისე, როგორი წესითაც მიდიოდა ამ საუკუნის დასაწყისში... სახოლციელო უწყებაში საჭიროდ დაინახეს, რომ გამომძიებლებათ დაენიშნათ მაღალ სასწავლებლებში კურს შესრულებულნი და გამოცდილნი პირნი; საჭიროდ დაინახეს ისიც, რომ მათ დანიშნოდათ საკმაო ჯამაგირი, თუმცა, სამწუხაროდ, კიდევ არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ ყველა გამომძიებელნი და მოსამართლენი გამოცდილნი იყვნენ კანონების პრაკტიკულათ ცოდნაში და საქმის წარმოებაში. ჩვენ სასულიერო წოდებაში კი ისე ადვილათ და იოლათ მიდის საქმე, რომ მეტი აღარ შეიძლება. ჩვენ წოდებაში სასულიერო მმართებლობას გამომძიებლებზე არ ეხარჯებათ ერთი გროში, ერთი კაპეიკი. Tითო ეპარხიაში არის ოც ოცდა ათი ბლაღოჩინნი, რომლებსაც

მთავრობისაგან არ ეძლევათ ერთი მანეთი ჯამაგირი. ეს ბლაღოჩინები თავიანთ დიდ მოვალეობასაც ასრულებენ და ამასთან გამომძიებელნიც არიან. მთავრობა აძლევს მათ სამი ცხენის „პრაგონს“ ე. ი. ცხრა კაპეიკს ვერსტზედ. მათ ჯამაგირს და სასყიდელს შეადგენს ხანდისხან დასაჩუქრება ჯილდოთი. ნაბადრენიკით, სკუფიით, კამილავკით და ანნას მესამე ხარისხის ორდენით და სხ. ქოველი ბლაღოჩინი, როგორც ზემოთ ვსთქვით, გამომძიებელთაც არის თავის საბლაღოჩინო მაზრაში. სასულიერო უწყებაში საქმის წარმოებას არ ასწავლიან არც სემინარიაში და არც ოთხ-კლასიან სასწავლებელ ში მოსწავლეთა. არ ასწავლიან არა თუ სხვა-და-სხვა საჩივართა გამო საქმის ძიებას, არამედ საეკკლესიო საბუთების საქმის წარმოებასაც...

სახორციელო უწყებაში კარგათ საქმის გამოძიება იმას შეუძლია, რომელსაც ყოველი კანონები კარგათ შეუსწავლია. სასულიერო უწყებაში, რასაკვირველია, კარგათ საქმის გამოძიება იმას შეუძლია, რომელსაც ყველა კანონები კონისტორიის წესდებისა, კარგათ შეუსწავლია; შეუსწავლია ამასთან კარგად სასულიერო რეგლამენტი, მსოფლიო კრებათა და მოციქულთა კანონებიც... თუ ესენი არ იცის კაცმა, როგორ უნდა მოახდინოს მან გამოძიება? სახორციელო უწყების გამომძიებელნი გამოიძევენ საქმეს და ყველა მოწმებს ჯერეთ უფიცრად ჰკითხავენ. ბრალდებულს შეუძლია მოწმების დამატება კიდევ გამოძიების შემდეგ, საქმის გარჩევის დროს სამართალში. სასულიერო უწყებაში კი გამომძიებელი ფიცით ჰკითხავს მოწმებს და ადგილობრივ თავდება თითქმის საქმე და ბრალდებულთა ბედი...

ზემო ნათქვამიდამ ადვილათ შეიტყობთ, რომ სასულიერო უწყების გამომძიებელთა არც ცოდნა აქვსთ და არც ჯამაგირი ეძლევა მათ ისე, როგორც სახორციელო უწყების გამომძიებლებს. რაიცა შეეხება უფლებას და თავისუფალ დროს, ამასაც ისინი ძლიერ მოკლებულნი არიან. ქველა მღვდელს და ბლაღოჩინს ჰყავს მრევლი, რომელსაც ის დღე და ღამე უნდა თავს ადგეს ყარაულივით და უსრულებდეს ქრისტიანულ მოვალეებას. ბლაღოჩინი ხშირად ორმოცდა ათ ვერსტზედ უნდა წავიდეს საქმის გამოსაძიებლათ; ამ დროს ვინ უნდა მოუაროს მის სამრევლოს? მართალია, ბლაღოჩინებს აქვსთ უფლება თავის სამრევლოში ერთ ერთი თავის საბლაღოჩინო მრევლის მღვდელი დასტოვოს თავის მაგიერ, მაგრამ აქედამ რა სარგებლობა გამოვა? ბლაღოჩინის სამრევლოში შესრულდა, ვსთქვათ, წირვა, მაგრამ ამის სამაგიეროდ მეორე სამრევლოში რჩება ხალხი უწირავად და ულოცავად.:. მიდის ბლაღოჩინი ორმოცდა ათ ვერსტსედ და ხანდისხან მეტ სიშორეზედაც; იბარებს მოწმებს, მაგრამ მოწმები ყველა არ მოდის. მიზეზი? მიზეზი ის არის, რომ ზოგი მოწამე შინ არ არის და ზოგი თავის საქმეზე მიდის —არა ცალიან გამომძიებელთან მივიდეს!.. გამომძიებელმა უნდა გადადვას შემდეგისათვის საქმე და ხშირად მოხდება, რომ საქმე მეორეზედაც არ გათავდეს. ამ მისვლა-მოსვლაზედ მოსული ხარჯი ვინ უნდა მიიღოს თავის თავზედ? კანონი ბრძანებს, რომ ეს ხარჯი უნდა გადახდეს დამნაშავეს, მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, ყოველთვის იხდის მართალი მხარე. გამომძიებლის უცოდინაორობას და დროის უმექონებლობას კაცი კიდევ გაუძლებეს, როგორც იქნება, თუ გამომძიებელმა „მხარეს“ დაჭერა და „მიდგომა“ არ იცის. „მხარეს“ დაჭერა და „მიდგომა“, სამწუხაროდ, თუმცა ძლიერ იშვიათად, მაგრამ, სახორციელო უწყებაშიც მოხდება ხოლმე. მაგრამ სასულიერო (უწყებაში) ეს ხშირი მოვლენაა. სახორციელო უწყებაში „მხარეობა“ მალე შეიტყობდა და ბრალდებულს კიდევ აქვს დრო თავი გაიმართლოს, მაგრამ სასულერო უწყებაში აღარაფერი ეშველება ბრალდებულს, რადგან გასამართლება მოხდება მომჩივან მეპასუხის დაუსწრებლად. საქმეები სასულიერო უწყებაში იწყება ან სახორციელო პირთა საჩივრებით სამღვდელო და საეკკლესიო მოსამხურეებზე, ანუ ბლაღოჩინების მოხსენებით. სახორციელო უწყების პირთაგან თუ ისე დაწყებულა საჩივარი, რომ ბლაღოჩინს არ შეუტყვია, ხომ კარგი, —იქნება მოხდეს მისი გამოძიება „მიუდგომლათ“ და „მხარეობის“ დაუჭერლათ. თუ ბლაღოჩინის მოხსენებით და შესმენით დაწყებულა საქმე, ნუ იფიქრებთ, რომ ბლაღოჩინმა თავისი მოხსენება არ გაამართლოს. ხშირად მოხდება, რომ ბლაღოჩინს თავის საბლაღოჩინო მღვდელთან უკმაყოფილება ჰქონდეს. სწერს „ლაპორტს“ და მოახსენებს მღვდელ-მთავარს ამ მღდელის ურიგო საქციელს და უწესო მოქმედებას თანამდებობისა მებრ. მღვდელ-მთავრები ამისთანა „დანოსების“ გამოძიებას ხანდისხან ისევ დამბეზღებელ ბლაღოჩინებს ანდობენ, ან რომელიმე მის საბლაღოჩინო მღვდელს; რასაკვირველია, გამოძიება აქ ისე წავა, როგორც ბლაღოჩინს სურს... ბლაღოჩინი თავის მოხსენებას არასოდეს არ გაამტყუნებს და ხშირად უბრალოდ იჩაგრება ბრალდებული... ამ საგანზე მრავალი რამ ითქმის, მაგრამ ჯერეთ კიდევ ადრეა ჩვენში ამისთანა საგნებზე ლა-

პარაკი და წერა!.. რაც ვსთქვით, აქიდამ გამოიყვანს კაცი შემდეგ დასკვნას:

1) გამომძიებლებს უთუოდ უნდა ჰქონდესთ შესწავლილი სასულიერო კონსისტორიათა წესდება და სახელმძღვანელო წიგნები, თუ როგორ უნდა აწარმოებდენ გამოძიების საქმეს; 2) მათ უნდა ჰქონდესთ განსაზღვრული სასყიდელი მომჩივან მოპასუხეთაგან, თუ ხაზინიდამ არაფერი მიეცემათ და 3) ბლაღოჩინების შესმენათა მებრ გამოძიების საქმე არასოდეს არ უნდ მიენდოს ადგილობით ბლაღოჩინთა და არც მათ საბლაღოჩინო მღვდელთა, თუ თვითონ ბრალდებულნი არ გამოაცხადებენ თანხმობას მათზე.

წერილები ათონიდამ.

(გაგრძელება) *)

მეფე კონსტანტინე მონომახმა ჰქმნა განკარგულება, რომლის ძალით ეს ათონის ნახევარი კუნძული ებოძა საზოგადოდ ქრისტიანე ბერებს და ამასთანავე მიანიჭა მათ სრული თავისუფლება ყოველი ხარკისა და დამოკიდებულებისაგან, ასე, რომ ამიერიდგან ათონის ბერები იყვნენ პირ-და-პირ მეფის მფარველობის ქვეშ და სხვა მთავრობა, ვერც სასულიერო, გინა პატრიარქი და ვერც სხოროციელო მათ საქმეში ვერ გაერეოდენ. თვითონ მეფე თავის მხრით უნიშნავდა მათ ერთს კეთილ-სვინიდისიან და ღირსეულ არხიმანდრიტს, რომელიც შეადგენდა ათონის მთავრობას და რომელსაც ეწოდებოდა „პროტი“. როდესაც რაიმე მონასტრების, ანუ ბერების საქმე იქმნებოდა გასარჩევი, ეს არხიმანდრიტი, ანუ პროტი მოუწოდებდა სხვა-და-სხვა ათონის მონასტრების წინამძღვრებს და ამნაირად შეადგენდა სამსაჯულო კრებას, რომლის თავმჯდომარე თვითონ იყო. ეს კრება ყოველივე საქმეს განაგებდა. თვითოეული მონასტერი თვითონვე ირჩევდა თავის წინამძღვარს. ამორჩეულს წინამძღვარს პროტი წარადგენდა მეფესთან და მეფე ამტკიცებდა; შემდეგ საბერძნეთის სამეფოს დაცემისა პატრიარქი ამტკიცებდა პროტისაგან წარდგენილ პირს. დღეს ერთად ერთი დამოკიდებულება ათონის მთისა პატრიარქთან ეს წინამძღვარის დამტკიცება არის და სხვა არაფერი.

ათონის ნახევარი კუნძული არის მაკედონიის პატარა ნაწილი, სამივე მხრით ზღვით შემოზღუდული და მეოთხე მხრით მიკრული ხმელეთზედ,—რაის გამოც ნახევარი კუნძული ეწოდება მას. აქვს სიგრძე ოთხმოცი ვერსტი, სიგანე—ოცი; უმაღლესი თხემის სიმაღლე ადის ოცდა ათ ვერსტამდი ზღვის სისწორიდგან. ამ უმაღლესს მთის წვერზედ არის აღშენებული ფერისცვალების ეკკლესია, სადაც ასვლა შეუძლია კაცს მხოლოდ ორი ზაფხულის თვის განმავლობაში.

ათონი საზოგადოდ არის მშვენიერი და მდიდრულად შემკული ქვეყანა. ადგილი ნაყოფიერი, ვენახ-ბაღჩა ბევრი, წყაროები უანგარიშო, ტყე წაბლეული მრავალი.

მეთერთმეტე საუკუნეში ათონში ითვლებოდა დიდი და პატარა მონასტერ-სავანეები 180-მდინ თავის 180 წინამძღვარით; ამათში უმთავრესნი სამეფო მონასტერნი იყვნენ: 1) ლავრა წმიდისა ათანასე ათონელისა, 2) ვართაპეტის მონასტერი და 3) ივერიის მონასტერი.

პირველი დაბანაკება ქართველთა ბერებისა ათონზედ იწყება 788 წელსა, დროსა მეფობისა კონსტანტინე და დედისა მისისა ირინასა. ათონის მთის საშვალს აღმოსავლეთით კლიმენტის ნავსაყუდლიდგან სამ ვერსტზე არის დიდი მთა, რომელსაც ათონელები გაბრიელის მთას უწოდებენ და ძველად ეწოდებოდა „ათო“; ამას უწოდებენ მუნებურნი გაბრიელის მთას, რადგანაც მუნ ცხოვრებდა მღვდელ მონაზონი გაბრიელ დაყუდებული, რომელმან გამოასვენა ზღვიდგან ივერის ღვთის-მშობლის ხატი. ამ მთას აქვს სამი თხემი, ანუ მწვერვალი, რომელნიც იწოდებიან იმავე სახელებით: ათონ-დიდი, ათონ-პატარა, და ათონ. ამ მესამე ათონის პირში ძველიდგან იყო სანათური კანდელი ხოლმანდებისა (მაიაკი). ამ სანათურ ადგილზედ დასახლდნენ პირველად ქართველნი. ამათი სავანე, აღშენებული იოანე ნათლის-მცემლის სახელზედ, იყო ზოგად ცხოვრებიანი. მასვე რიცხვსა აშენებდნენ ქართველები სტანბოლში ნათლის-მცემლის მონასტერს, რვაას ოცდა ათსა წელსა მეფობასა თეოფილე ხატთა მბრძოლისა. მცირე აზიის ქალაქსა ნიკიას ცხოვრობდა ერთი კეთილ-მსახური ქვრივი (შთამამავლობით ქართველი) თავის ერთი შვილით; ქვრივსა მას ესვენა ხატი ღვთის-მშობლისა. ერთი მხედარი თეოფილე ხატთა მბრძოლისა შეუვარდა ქვრივს სახლშიდ, იხადა მახვილი, დაჰკრა ხატს სახეშიდ; ჭრილობისაგან გადმოდინდა სისხლი. მხედარმან შეძრუწუნებულმა ირწმუნა და ურჩია ქვრივს დამალვა ხატისა სხვა მდევნელთაგან. კეთილ-მსახურმა ქვრივმა, ღვთის-მშობ-

---

*) „მწყემსის“ № 1. 1884 წ.

ლრისადმი მრავლის ლოცვისა და ღამის-თევის შემდგომ, ჩაასვენა მცირესა ნავსა ხატი ღვთის-მშობლისა და გაუშვა ზღვაში. შვილი თვისი კი გაგზავნა მაკედონიის დედა ქალაქში, თესალონიკეში, საიდგანაც იგი მოვიდა ათონად, ივერიელების სავანეში, შედგა ბერად და იქმნა მონაზონი. მან ქართველებთან ცხოვრება აღირჩია, უთუოთ მისთვის, რომ ის იყო ქართველების ნათესავი, ესე იგი დედით ქართველთა შთამომავალი. ამან აუწყა ქართველებს შემთხვევა და სასწაული ღვთის-მშობლის ხატისა, რომელიც დედამან მისმან შთაასვენა ზღვაში მცირეს ნავით.

965 წელსა მოვიდა ათონში იოანე ივერიელი, (გვარად ვარასვაჩე) სარდალი საქართველოის მეფისა დავით კურაპალატისა, იოანნე ივერიელი თავის შვილით ევთიმითურთ მოვიდა წმიდა ათანასე ათონელთან და იქმნა მონაზონი (ამ ათანასეს მამა იყო ტრაპიზონელი მცხოვრები, რომლის დედა იყო ივერიელი (მეგრელის ქალი). წმიდა ათანასე ათონელი აშენებდა ამ ჟამად თავის ლავრას; ღირსმა მამამან იოანნე ივერიელმა აღმოუჩინა დიდი შემწეობა და შეწირულობა, უსაშუალა საბერძნეთის მეფესთან. წმიდა ათანასემ აღაშენა თავის ლავრიდგან, ერთი ვერსტზედ განშორებულს ადგილზე, მცირე მშვენიერი ეკკლესია სახელსა ზედა წმიდისა დიდებულისა ყოვლად ქებულისა იოანე ღვთის - მეტყველისა და მუნ ცხოვრებდა თვისის ძით ევთიმითურთ და სხვა მოწაფეებითურთ. შეიტყო რა ბერად შედგომა იოანესი, მისმა ცოლის ძმამ, სახელ განთქმულმან სარდალმან საქართველოის მეფისა დავით კურატპალატისა ძნის ერისთავმა თორნიკემ, მოვიდა იოანესთან; აქ ესენი და სხვანი ბევრნი ქართველნი სცხოვრებდნენ **14** წლამდის.

შემდგომად გარდაცვალებისა საბერძნეთის მეფის იოანე ციმისხისა, ცხრაას სამოცდა თუთხმეტსა წელსა, დარჩნენ მცირე წლოვანნი შვილნი მისნი ვასილი პორფიროვანი და კონსტანტინე. სახელმწიფოს განაგებდა მათი დედა. ერთმა საბერძნეთის მხედართ მთავართაგანმა, სახელად ბარდოს სკლიროსმა, წინა აღუდგა ტახტსა საბერძნეთისასა და მოინდომა მისი დამხობა. მისი წინააღმდეგობის მიზეზი იყო ის, რომ ის არ დანიშნეს მმართველად მესოპოტამიისა, რაიცა მას ძრიელ სუროდა და რომლის მმართველად გაგზავნილ იქმნა სხვა მხედართ მთავარი, სახელად პეტრე. სამ წელიწადს იომა სკლიროსმან, აიღო მრავალი აღმოსავლეთის მხარე, ქალაქნი და ქვეყანანი და დაუახლოვდა სტამბოლს. ყველანი დიდ შიშში იყვნენ. ამ დროს მოუწოდეს ათონიდამ დავით კურატპალატთან მხედართმთავრად ნამყოფს თორნიკეს და გაგზავნეს იგი საქართველოს მეფესთან, დავით კურატპალატთან, შემწეობის სათხოვრად. დავით კურატპალატმა გაუგზავნა მეფე ვასილს თორმეტი ათასი რჩეული მხედარი იმავე თორნიკეს სარდლობის ქვეშ. თორნიკემ თავის ქართველი ჯარით დაამარცხა მცირე აზიაში ბარდოს სკლიროსი და მოუღო ბოლო მეფე ვასილის ყველა წინააღმდეგს. ამის შემდგომ თორნიკე, დაჯილდოებული ორთავე მეფეთაგან მრავლითა ნიჭითა, დაბრუნდა ისევ თავის ათონში დიდის სიმდიდრით, რომლის უმეტესი ნაწილი განუყო მან ყველა ათონის მონასტერთა ხელითა მამისა იოანესითა.

ამ დროს, რადგანაც ათანასეს ლავრის ახლო ქართველები სივიწროის გამო ვერ თავსდებოდნენ, მათმა უფროსმა იოანნე ქართველმან განიზრახა და გარდასწყვიტა აღშენება სხვა ახლის მონასტრისა ქართველთათვის, განსაკუთრებული უფლებთა, ასე, რომ ის არ ყოფილიყო დამოკიდებული პროტისაგან, არამედ ყოფილიყო პირ-და-პირ მეფის მფარველობასა ქვეშ. ამ აზრის შესრულებისათვის ხელს უწყობდენ მას გარემოებანი: მეფე ვასილი მადლიელი იყო ქართველი ათონელებისა იმ სამსახურისათვის, რომელიც გაუწია მას თორნიკემ და მათმა მოძმემ და მზათ იყო შეესრულებინა ყოველნი მათნი კეთილნი მოთხოვნილებანი. ამ გარემოებით ისარგებლა იოანე ქართველმან. პირველად ის თავის მოძმეებითურთ გარდასახლდა ძველ ქართველების სავანეში „ათოში“, სადაც მაშინ წინამძღვარად იყო პავლე და, რომელიც განახლების შემდეგ ცხრაას ოთხმოც წელში, საქართველოის მეფის თანახმობით, გასცვალა მან საქართველოის მონასტრები ბერძნების მონასტრებში; გამოართვა მან მეფეს მონასტრები: ლევანტის — თესალონიკეში, იოანნე კოლოვის — ერისხეშიდ და კლიმენტის — ათონშიდ. სამაგიეროდ მისცა მან ორი ქართველთა მონასტერი: იოანნე ნათლის-მცემლისა — სტამბოლში და წმიდა იაკობის — ტრაპიზონში. ზემოხსენებული მონასტრები შეიძინა იოანნე ქართველმან ყველა მათი ქონებით და შემოსავლითურთ.

ცოტა ხნის შემდეგ იოანნე ქართველი ათოს სავანიდგან ჩამოვიდა ქვეით ზღვის პირად და აქ მეფისაგან მოყიდული კლიმენტის სავანის ადგილზედ, სადაც იყო ძველი პატარა ნათლის-მცემლის ეკკლესია დარღვეული, იწყო შენება თავის მონასტრისა, აღაშენეს რა მონასტერი, უწოდეს მას სახელი „ივერია“ — ნიშნად მისა, რომ ის ეკუთვნოდა საქართველოს.

(გაგრძელება იქნება).

საზოგადოების აზრი, მისი გავლენა მოგძეზე და მისი გამოგმთქველნი.

ხულში რღმად არის ჩასახული სურათი ყოველად სრული კეთილისა, რომლის მსგავსად შექმნილია იგი. ეს სურათი თუმცა არ არის ყველა სულში ერთნაირად ცხადი, გამორკვეული, მაგრამ ყველაში დაიცვავს თავის უმთავრეს თვისებებს, თვის ერთგვარ ხასიათს, რის-გამოც თვითეულ კაცს აქვს მინიჭებული შეძლება, — მცირედ თუ ბევრად, — იგრძნოს, მისწვდეს კეთილსა და განარჩიოს ის ბოროტისაგან; თანაუგრძნოს ერთს და უარჰყოს მეორე. ეს საზოგადო ჭეშმარიტებაა: ყველა მოქმედი, თუ მას სრულიად არ დაუკარგავს მსგავსება ღვთისა, ჰგრძნობს, რომ მის მოქმედებაში თვითეული **სხვაც, როგორც თვითონაც,** განარჩევს კეთილსა და ბოროტსა, რომლის თანახმად მისი მოქმედება იწვევს სხვებში თანაგრძნობას, ანუ ზიზღს. აზრი სხვებისა ჩვენი მოქმედების შესახებ, აზრი საზოგადოებისა მაზე, არის თვით ჩვენი აზრი, ჩვენი შეხედულობა, მხოლოდ — ესე ვსთქვათ—განხორციელებული გასრული ჩვენგან და, როგორც ეგეთი, თავისუფალი პირადი ინტერესების ზედგავლენისაგან და შეჭურვილი შეურყეველი მიუდგომლობით.

ეს მიუდგომლობა შეადგენს, უნდა შეადგენდეს, მთავარ ძალას საზოგადოების აზრისას და ამძლავრებდეს მის გავლენას კაცის მოქმედებაზედ. საზოგადოების,—ამ მეორე სულის, — კეთილ აზრში თვის მოქმედებაზედ მოქმედი ჰპოვებს მრჩობლ ძალას, ახალ ენერგიას, რადგან ა) მოქმედი, როდესაც საზოგადოების კეთილი ჰაზრი ეთანხმება მის სინდისის კმაყოფილებას, უფრო მტკიცდება, გულს აჯერებს თვის მოქმედების კეთილობაზე, ბ) ჰპოვებს თავის თავ-მოყვარეობის კმაყოფილებას საზოგადოების მასზე კეთილ აზრში და გ) აკმაყოფილებს,—ხან-დახან მაინც,—თვის მატერიალურ ინტერესებსაც, რადგან საზოგადოება ძნელად სტოვებს თავის საყვარელს უნუგეშოდ. ამითი აიხსნება დაუცხრომელი ზრუნვა მოქმედი პირისა საზოგადოების კეთილი აზრის მოპოებაზე; — ზრუნვა სამართლიანი, ოღონდ კი მომქმედი განარჩევდეს საზოგადოების საღ აზრს და ხმაროობდეს მის მოსაპოებლად წმიდა საშუალებას.

საზოგადოების აზრის ამისთანა ზედგავლენა მოქმედ პირზედ მოითხოვს, რომ მისი გამომხატველნი იყვნენ, შეძლებისა-და-გვარად, შეჭურვილნი იმავე თვისებებით რა თვისებებიც აქვს თვითონ იმ აზრს, ე. ი. ისინი უნდა იყვნენ ა) მიუდგომელნი, პირად ინტერესებს განრინებულნი, რთგორც თვით აზრი საზოგადოებისა არის მიუდგომელი, ბ) დამკვირვებელნი, გონივრულად დამკვირვებელნი, რომ საზოგადოების ფხიზელი, საღი აზრი განარჩიონ მხოლოდ რამდენიმე გვამის პიროვნული აზრიდგან, ანუ გონებითი და ზნეობითი ჩამოგრჩალთ შეხედულობისაგან.

ვ. ბარნოვი.

სემინარიელების მდგომარეობა კურსის გასრულების შემდეგ.

ახლანდელ დროში სემინარიაში კურს შესრულებული ყმაწვილების მდგომარეობა მეტად ცუდია. ექვსი წელიწადი სწავლობენ სემინარიაში და კურსის შესრულების შემდეგ სანუგეშო ცხოვრებას არ მოელიან მაინც. ბინც სემინარიაში საეკკლესიო ხარჯზე გამოიზდება, ვალდებული არის კურსის შესრულების შემდეგ ან მღვდლად წავიდეს და ან ის ხარჯი გადიხადოს, რაც მასზე სემინარიაში დაიხარჯა. ამ ფულების გადახდისაგან სემინარიელი თავისუფლდება, მღვდლობის გარდა, იმ შემთხვევაშიდაც, როცა ის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში, ანუ სოფლის შკოლაში მასწავლებლის თანამდებობაზე სამს წელიწადს იმსახურებს. აგრეთვე სემინარიელს ამ გადასახადისგან ათავისუფლებს საეპარხიო სასულიერო კანცელარიაში სამსახურიც. თუ ან მღვდლად არ წავიდა სემინარიელი და ანუ ზემო ჩამოთვლილ ადგილებში ალაგი ვერ იშოვა, მაშინ ვერც სამოქალაქო სამსახურში შევა ისე, თუ მან მასზე დახარჯული ფული 700 — 800 მანეთი არ გადიხადა ნაწილ-ნაწილა.

ჯართალია, წინეთ სემენარიაში კურს შესრულებულები ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში ადგილს შოულობდნენ, მაგრამ ეხლა სემინარიელებს აღარც ამ ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში იღებენ მასწავლებლად, რადგან **ეწმიდესი სინოდის** უქაზის ძალით ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად აკადემიაში კურს შესრულებულნი უნდა იქმნენ. ამიტომ ეხლა არამც თუ ახალი კურს შესრულებულ სემინარიელებს აღარ იღებენ ამ სასწავლებლებში მასწავლებლად, იმ სემინარიელებსაც, რომელნიც დიდის ხნიდგან სასწავლებლებში მსახურებენ ერთგულად და სასარ-

გებლოდ, ითხოვენ თანამდებობიდგან და ყოველ შემთხვევაში უპირატესობას აკადემიელებს აძლევენ. როდესაც სემინარიელები მასწავლებლობის ასპარეზზე ოთხ-კლასიან სასწავლებლებში დიდათ არ ჩამორჩებიან აკადემიელებს. დიდის-ხნიდგან მასწავლებლად ნამსახურევი ნიჭიერი სემინარიელი უფრო პედაგოგიურ გამოცდილებას იძენს და რაც შეეხება მას, თუ როგორ შეისწავლეს მათ სასწავლებელში პედაგოგია, თუ კი ამ საგნის სპეციალურად შესწავლა სასწავლებელში შეიძლება, უნდა ესთქვათ, რომ ამ საგანს მხოლოდ სემინარიაში ასწავლიან, თორემ აკადემიაში სრულებით არ ასწავლიან. ჩვენ აქ, რასაკურველია, ყველა აკადემიაში კურს შესრულებულნი პირნი არა გვყავს სახეშიდ; ჩვენ იმ აკადემიელებზე ვლაპარაკობთ, რომელნიც აკადემიაში წასულან მარტო დიპლომის მიღებისთვის; გარეშე პროგრამისა მათ არ წაუკითხავთ არც ერთი წიგნი; არ გაუგიათ, თუ სატახტო ქალაქებში ბიბლიოტეკები არსებობდნენ. ამისთანა პირები შემდეგ გამოდიან სამასწავლებლო ასპარეზზე თავისი დიპლომით და ცხოვრებაშიაც იმითი კმაყოფილნი არიან, რაც ოთხ-კედელს შუა შეუძენიათ. ამისთანა პირები იღებენ ხშირად გაკვეთილებს ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში. ამისთანა სასწავლებლებში ეხლა უმეტესად აკადემიელები არიან მასწავლებლებად, მაგრამ ამ სასწავლებლების სამასწავლებლო ნაწილი უკეთეს მდგომარეობაში არ არის. ამისთანა სასწავლებლებში კურს შესრულებულ მაგირდებს ეხლა უფრო ნაკლებად ღებულობენ სემინარიებში. ჩვენ არ ვიტყვით, რომ მათ არ შეეძლოთ სწავლება, მაგრამ ამისათვის საჭიროა საქმის ერთგულად და მუყიათად სამსახური და ეს უკანასკნელნი ასე არ ეკიდებიან საქმეს. აკადემიელები დროებითად რჩებიან დაბალ სასწავლებლებში და სცდილობენ სადმე უკეთესი ადგილი იშოვონ, თუმც აქაც კაი ჯამაგირი ეძლევათ მათ. ზოგი მათგანი სასირცხოდ სთვლის ამისთანა სასწავლებლებში სამსახურს. სემინარიაში კურს შესრულებული მასწავლებელი, რადგან სასულიერო წოდებაში უკეთეს ადგილის შოვნას აღარ მოელის, თავის საქმეს ჰკიდებს ერთგულათ ხელს და საქმეც კარგათ მიჰყავს...

ოქაზის ძალით სემინარიელები ადგილებიდგან არ დაუთხოვნიათ მაშინვე, მაგრამ, ჩემის აზრით, უკეთესი იყო მათი მაშინვე დათხოვნა, ან და სამართალი მოითხოვდა, რომ ამ უქაზის შემდეგ იმ სემინარიელებს, რომლებიც სასწავლებლებში დიდი ხნიდგან ერთგულად და სასარგებლოდ მსახურებდნენ, დანიშნოდათ ისეთივე ჯამაგირი, როგორც აკადემიელს. აკადემიელს თორმეტ გაკვეთილში ეძლევა 900 მანეთი და თითეულ მეტ გაკვეთილზე წელიწადში 60 მანეთი. სემინარიელს კი თორმეტ გაკვეთილზე ეძლევა 420 მანეთი და მეტ გაკვეთილზე 20 მანეთი. რა გულით უნდა ასწავლოს სემინარიელმა ეხლა ამისთანა სასწავლებელში, როცა ხედავს, რომ აკადემიელი იღებს 900 მანეთს იმავე შრომისთვის, რომლისთვისაც სემენარიელი 420 მანეთს იღებს, თუმც უმაღლეს მთავრობას სემინარიელების შრომა საკმაოდ და სასარგებლოდ მიაჩნია, და რომ მიაჩნიათ ეს სჩანს რევიზორების ანგარიშებიდგან, და ამბობენ, რომ სემინარიელებს კარგად მიყავსთ თავიანთი საქმეო. მაშ რაღა მიზეზია, რომ ერთიდა იგივე შრომისთვის აკადემიელს და სემინარიელს სხვა და სხვა სასყიდელი ეძლევათ...

ამ სახით ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში, რომლებსაც მთავრობა ინახავს, აკადემიელებს ეძლევათ უპირატესობა მასწავლებლობის თანამდებობაზე. მაგრამ იმ ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში, საცა პარალელური განყოფილებანი და მოსამზადებელი კლასები არიან, სემინარიელები კიდევ შოულობენ მასწავლებლის ადგილებს. ამ პარალელურ და მოსამზადებელ კლასებს სამღვდელოება ინახავს თავის ხარჯით და რადგან სემინარიელები თავიანთ თანამდებობას პატიოსნურად ასრულებენ სასწავლებლებში მათზე არც დიდი ფულები იხარჯება ჯამაგირად, სამღვდელოებამ დაადგინა ზოგიერთ ალაგას, რომ პარალელურ და მოსამზადებელ კლასებში სემენარიელებს მიეცესთ გაკვეთილები.

მაგრამ აქაც წინ ეღობებიან სემინარიელებს ზოგიერთა ზედამხედველები. ჩვენ ვიცით ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლები, სადაც ორი სამი კაცისთვის იყო ადგილი წელს და მთხოვნელებიც სემინარიის სტუდენტები იყვნენ, მაგრამ მათ გაკვეთილები არ მისცეს და საწყლები დღესაც მშიერნი დაიარებიან.

მაშ რა ჰქნან სემინარიელებმა? სამოქალაქო ოთხ და სამკლასიან სასწავლებლებში მათ ადგილს არ აძლევენ. აქ მათ ეუბნებიან: „ჩვენ ჩვენი კაცები გყვანან ამ ადგილებზე და თქვენ ვერ მიგიღებთო“. თუმცა მათ წანდიდატებზე უმეტესი სემინარიელები ნაკლებნი არ არიან. არამც თუ ამისთანა სასწავლებლებში, სოფლის სკოლებშიაც არ აძლევენ

სემინარიელებს ადგილს ზოგიერთა სოფლის სკოლების დირეკტორები.

ეს ნარად სემინარიელებს ყველგან უკეტენ კარებს იმიტომ, რომ ისინი მღვდლუბად წავიდნენ. მაგრამ სემინარიელები მაინც ვერ ბედვენ მღვდლად წასვლას, რადგან მღვდლების ჯამაგირი არ არის განსაზღრული. თუ მარტო მრევლზე დაიმედდა მრევლის მღვდელი, მას...

ესმასთან სამწუხაროა კიდევ ის არის, რომ სემინარია დღეს ვერ აძლევს რიგიანად სამღვდლოდ მოამზადებულ პირებს სამრევლოთა, რომ მან თავისი სიტყვა-ქადაგებით და თავის სწავლით ხალხს დაეხმაროს და თავი შეაყვაროს. ვის რათ უნდა სოფელში შენი ბერძნული და ლათინური რომლების სწავლას სემინარიელი თან გადაყოლია თორმეტი წელი!..

ესრც დიდი პენსია გაბედვინებს მღვდლად წასვლას. ოცდა თუთხმეტი წელიწადი უნდა იმსახურო მღვდლად, რომ მოგეცეს წელიწადში 130 მან. პენსია. მღვდლის სიკვდილის შემდეგ, როცა მის სახლობას მეტი სიღარიბე მოელის, მის ცოლს ამ პენსიის ნახევარი ენიშნება და ცოლის სიკვდილის შემდეგ, როცა ობლები ულუკმა პუროთ რჩებიან, პენსიაც ესპობა! სემინარიელს ზოგიერთ ადგილას მღვდლად წასვლას უბრალო მოსამსახურედ დადგომა ურჩევნია.

ეუ სემინარიელი მღვდლებისაგან მთავრობა რამე სიკეთეს მოელის, საჭიროა სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესდეს და მაშინ სემინარიელები ძალა დაუტანებლად და სიხარულით წავლენ მღვდლად და კარგადაც შეასრულებენ თავიანთ დიდ დანიშნულებას. მართალია, ზოგი ვაჟბატონები, რომელნიც რამოდენიმე ათასობით ღებულობენ ჯამაგირს და ისეც ბევრს შოვობენ, ბრძანებენ, რომ მღვდლები უფასოდ უნდა ემსახურებოდნენ პრიხოდსაო; მაგრამ ამისთანა ყმაწვილები მხოლოდ თავის თავზე ფიქრობენ და, სხვისთვისაც თუ საჭიროა ზოგიერთი ცხოვრების კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ის კი არ იციან.

ეროო არის სემინარიელების მდგომარეობას ყურადღება მიაქციონ და საქმე დააწყონ ისე, რომ სემინარიელები ხალისით მიდიოდნენ სოფლებში მღვდლად...

* * *

წერილი რედაქტორთან.

ჭუთაისიდამ. მიყრუებულ სოფლების მცხოვრებლებმაც კი შეიგნეს, რომ სასაფლაოებს ცუდი გავლენა აქვსთ ახლო-მახლო მცხოვრებლების ჯანმრთელობაზე; მაგრამ ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ ზოგიერთა ქალაქების მცხოვრებთა. მაგალითად ქ. ქუთაისში, რიონის მარჯვენივ, გორაზე არის წმიდის ზიორგის ეკლესია. ამ ეკლესიას აქავე აქვს სასაფლაოც, რომელიც, სულ რომ ბევრი ვსთქვათ, ორასი ოთხ-კუთხედი საჟენი თუ იქნება. ამ ეკლესიას და სასაფლაოს გარს ახვევიან მცხოვრებნი; მაგრამ ფიქრად არავის მოდის სასაფლაოს სხვა ადგილზე გადატანა. სასაფლაოც ისეა გატენილი, რომ ახალი მიცვალებულისთვის ცარიელ ადგილს კაცი ვერ იშოვის, თუ ძველი მიცვალებულების კუბო არ ამოიღეს. მე თვითონ ბევრჯელ ვყოფილვარ დამსწრე, რომ სულ ახალი მიცვალებულების კუბოები და ძვლები ამოუყრიათ მიწიდამ. მარტო ამ ეკლესიის მრევლის მიცვალებულები რომ იმარხებოდნენ ამ სასაფლაოზე კიდევ კარგი, მაგრამ აქ ყველას ასაფლავებენ, ვისაც სასაფლაო ვერსად უშოვია. საკმაოა, რომ მიცვალებულის პატრონმა ადგილობით მღვდელს ცოტა რამ აჩუქოს და ეკლესიის სასარგებლოდ ხუთი-ათი მანეთი შესწიროს. ამ სასაფლაოს თაობაზე ბევრი იყო დაწერილი ადგილობით გაზეთებში, მაგრამ აქამომდე არც უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ და არც ქალაქის გამგეობამ ამ საქმეს ყურადღება არ მიაქციეს. რიგი იყო, და ეხლა მაინც დროა, რომ ადგილობითმა მღვდელმა მოახსენოს ეპოველად სამღვდელოს, რომ ამ ეკლესიის სასაფლაოზე მიცვალებულების დამარხვა აკრძალოს.

ეახლობელნი მცხოვრებნი, მოთმინებიდგან გამოსულნი, არა ერთხელ შეიკრიბნენ ეთხოვათ უ. გუბერნატორისთვის, რომ აქ მიცვალებულების დამარხვა მოესპოთ, მაგრამ ვერ გაბედეს. მათ ზოგი ეუბნება, რომ ეს ეპისკოპოზის საქმეაო, ზოგი — გუბერნატორისაო და ზოგი—ქალაქის გამგეობისაო. ქალაქის გამგეობაც არა ფერს არა ფიქრობს ამ სასაფლაოზე.

ეოროტი ენები ამბობენ, რომ აქ სასაფლაო არ მოისპობა, ვინემ დაწყებული ეკლესიის შენება არ მოთავდებაო, რადგან მიცვალებულების დასაფლავებიდგან შემოსავალი აქვს ეკლესიასაო. ჩვენ

არ გეჯერა რომ ამის თანახმა იყოს სასულიერო მმართველობა. ზემო ხსენებული ეკლესია შედის ქალაქის პლანში. თუ სხვა ქალაქის ეკლესიების გალავანში სასტიკად არის აღკრძალული მიცვალებულთა დამარხვა; თუ ფრანგების ეკლესიის ეზოში დამარხვის ნება შინაგან საქმეთა მინისტრმა ორას თუმნისათვის არ მისცა, რა არის ეს ეკლესია ამისთანა, რომ ამ კანონს არა აქვს ძალა ამ ეკლესიის გალავანზე. ამ ეკლესიის გარშამო ზოგი მცხოვრებნი აპირებენ საჩივრის გაგზავნას შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზედ და ვნახოთ ერთი, რა გამოვა; ვნახოთ, როგორ ახსნიან ამ კანონის დარღვევას და ვის დაადებენ ბრალს.

ვინმე.

საჭიროა თუ არა ბლაღოჩინისთვის საკუთარი ღერბი?

Oამაღლესი სასამართლოების და თანამდებობის პირებიდამ დაწყებული ვიდრე უკანასკნელს სოფლის მამასახლისის თანაშემწებამდის ყველას აქვს თავისი საკუთარი თანამდებობისამებრ ღერბი; აქვსთ აგრეთვე ყველა ეკლესიებს თავიანთი ბეჭდები; მხოლოდ ბლაღოჩინებს ღერბი არა აქვსთ. არ ვიცი რისთვის არის ეს ერთი თანამდებობის პირი გამორიცხული მრთელი იმპერიის სასულიერო და სახოლიერო თანამდებობის პირებისა და სასამართლოებისაგან, მაშინ, როდესაც ამ თანამდებობისათვის საჭიროა, ჰქონდეს ბლაღოჩინს თავისი საკუთარი ღერბი. მართალია, სანემ საბლაღოჩინოები მაზრებათ არ დაიყო, მოუხერხებელი იყო ბლაღოჩინისთვის ბეჭედი, რადგან ბლაღოჩინის სახელზედ, რომ ბეჭედი მოჭრილიყო, ბლაღოჩინი ან მოკვდებოდა ან გამოიცვლებოდა და შემდგომ ბეჭედი უხმარი შეიქნებოდა; საბლაღოჩინოების მაზრებათ დაყოფის შემდეგ კი ადვილათ შეიძლებოდა დაწესებულიყო საბლაღოჩინო მაზრების სახელზედ ბეჭდები, რადგან ამ მაზრების სახელები, ერთჯელვე წოდებული, არასოდეს არ მოიშლება და არც უნდა მოიშალოს. ბლაღოჩინი ეხლა ხმარობს საბლაღოჩინო საქმეებზედ თავის სამრევლო ეკლესიის ღერბს, მაგრამ არ შეიძლება არ ვსთქვათ, რომ ეს ძლიერ საშიშოა საქმისათვის; ყველა საქმის კანვერტს, მოწმობას, ამოწერილობას, სხვა-და-სხვა საქმის პირებს, აგრეთვე მეტრიკის და აღსარების სიის პირებს ამ ბეჭედს ასვამს ბლაღოჩინი. შეიძლება ვინმემ, არა პატიოსანმა კაცმა შეადგინა, ამ გვარი საბუთი და როგორმე ეკლესიის ბეჭედი იშოვა და დაასვა. რით გაიგებს ვინმე ამის სიყალბეს, მაშინ როდესაც, როგორც ბლაღოჩინის, ეგრეთვე მრთელი ეპარხიის ეკლესიებს ბეჭდებს უცვალებელად ერთი და იგივე ფორმა აქვს. თუ ვიტყვით, რომ ყოველს ბეჭედს თავიანთი ეკლესსიის სახელი აწერია და ამითი გაირჩევა ერთი მეორისაგან, განა არ შეიძლება ბეჭედი ისეც დაესვას, რომ მარტო ეკლესიის სახე სჩნდეს? ამითი სიყალბე ძნელათ დამტკიცდება, და თუ ამასაც ვიტყვით, რომ ამგვარი ცუდი საქმე ჯერ არ მომხდარაო, ეს თქმაც უსაფუძლო იქმნება, მისთვის, რომ სანემ უბედურება მოხდებოდეს, მანემ არის საჭირო სიფრთხილე ვიქონიოთ, თორემ როდესაც საქმე წახდება, იმას ვეღარას უშველით, ერთის მაგიერ ხუთი ბეჭედიც მივსცეთ ბლაღოჩინებს. იმედია, ამ კითხვაზედ სხვა ბლაღოჩინებიც თავის ჰაზრს გამოთქვამენ: მართლა საჭიროა ბლაღოჩინისთვის საკუთარი ბეჭედი თუ არა?.

ბლაღოჩინი შარაბიძე.

სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები.

Kონსტანტინოპოლიდამ იწერებიან უცხოეთის გაზეთებში შემდეგ საყურადღებო ამბავს: პორტასა და მსოფლიო პატრიარქ შორის მოხდენილი უკმაყოფილებისა გამო რაღაც მოძრაობა არის მაკედონიის ხალხში. ამის გამო სულთანი მიქცეულა რუსეთის ელჩთან ნოტით, რომელშიაც უცხადებს მას, რომ მას სურს გააგზავნოს კომისია ათონის მთაში მონასტრის გასაჩხრეკად და შესატყობლად, ხომ არ ინახება ფარულად ამ მონასტერში საომარი იარაღები? ბ. ნელიდოვმა, რუსეთის სახელმწიფოის ელჩმა, განუცხადა მას, რომ მას არ შეუძლია ნება მისცეს და რუსების მონასტრები გააჩხრეკინოს.

***

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲓᲐᲛ ჩვენ გვწერენ: პატივი მაქვს თქვენის პატივცემულის გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით ვაცნობო ახალციხის ბლაღოჩინს მ. ბრ. დავიდოვს, რათა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს იმ ურიგო სომხების საქციელს, რომელთაგან ახალციხეში და

მის მაზრაში მცხოვრებ ქართველთ დიდი დაბრკოლება ეძლევათ საფარის Пეთისმშობლის ტაძარში ღამის თევის დროს. მე სახეში არა მყავს ყველა სომხები, არამედ ის ნაწილი, რომელთა წყალობით ყოველ წლივ საშინელი ჩხუბი იმართება ხოლმე მათ და ქართველთ შორის. ამ ჩხუბებს მრავალჯერ ხანჯლის ტრიალიც მოჰყვება. ამგვარის უწესოებისა გამო ველარვინ ბედავს იქ სალოცავად მისვლას და ვერც ღამის გათევას. უწინ ორასამდის მლოცველები იყვნენ ხოლმე აქ და წელს სულ ოცდა ხუთი კომლი იქნებოდა მარტვა.

Იმედი გვაქვს ამგვარს უწესოებას ყურადღებას მიაქცევს პატივცემული ბლაღოჩინი მ. Зრ. Დავიდოვი, რომლის წყალობითაც საფარაში დაინიშნება რამდენიმე ჩაფარი, ანუ დესიატნიკი მშვიდობიანობის დასაცველად.

***

Ზაბა ჩხარიდგან (შორაპნის მაზრა) გვწერენ: „ამ დაბაში დიდის ხნიდგან სცხოვრებენ სომეხნი, რიცხვით 70 კომლი; მათ თავიანთი მღვდელიც ჰყავთ. Ოთხი წელიწადია, რაც ჩვენი სომხის მღვდელი ზიორგი Ფიფინოვი გადიცვალა და დავრჩით უმღვდლოდ. ამას წინედ ერთმა უცხო ქვეყნის კაცმა, რომელიც განსვენებული ზიორგი ფიფინოვის სიცოცხლეში მასწავლებლად იყო, შეირთო ერთი ჩვენი სომხის ქალი. ბოლოს გვთხოვა, რომ ის გვესურვებია მღვდლად, რისთვისაც მან აღგვითქვა შკოლის გახსნა და შვილების სწავლება უფასოდ. აგრეთვე პირობა მოგვცა, რომ ის, როგორც მღვდელი, თავის მღვდელმოქმედებისთვის არას მოგვთხოვს. ჩვენ დაეიჯერეთ მისი დაპირება და ესთხოვეთ სასულიერო მთავრობას, რომ ის ეკურთხებიათ ჩვენთვის მღვდლად. მთავრობამ შეიწყნარა ჩვენი თხოვნა და ის გვიკურთხა მღვდლად. მან თავის მიზანს მიაღწია, მაგრამ თავის პირობა აღარ შეასრულა. Оუმც წინეთ დიდს შემწეობას გვპირდებოდა, მაგრამ ეხლა დიდ შეწუხებას გვაყენებს. Წარსულს წელში ახალი ეკკლესიის შენობა დაიწყო ნაცვლად ძველის პატარა ეკკლესიისა. Оს ძალიან სასიხარულო იყო ჩვენთვის, რადგან ძველი ეკკლესია მეტად პატარა იყო და შიგ ვერ ვეტეოდით. ჩვენს ეკკლესიას დიდის-ხნიდგან 3,500 მანეთი ჰქონდა გავალებული. ჩვენ ეს ფულები დიდის სიხარულით შევაგროვეთ თავის სარგებლით. ამ ფულებით დაიწყო ეკკლესია და ერთ საყენზე რომ აიყვანა კედელი, შეაჩერა შენება. ამბობს, ფულები აღარ არისო. სად გაფანტა ასე მალე ეს ფულები, არ ვიცით. Оხლა გამოიგონა, რომ ერთი ჩხარელი სომხის ნათესავთაგანი ყოფილა ინდოეთში; ეს კაცი უშვილოდ გადასულა და 20 მილიონი ფული თავის ნათესავებისთვის დაუტოვებია ანდერძითო. Оს ფულები, ამბობს ეს, ბანკში არისო და ეხლა ნათესავებს იბარებენო, რომ მათ ეს ფულები მიიღონო. ასე. გამდიდრებას გვპირდება და ეკკლესია კი აუშენებელი რჩება. ამიტომ ესთხოვთ, ვისიც რიგია, ყურადღება მოგვაქციონ და ჩვენ, ერთ მივარდნილ მთაში მომწყვდეულნი, არ შევიქმნეთ დაჩაგრულნი. Იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უმაღლესი სასულიერო მთავრობა მიაქცევს ყურადღებას და შეიტყობს ჩვენი მღვდლის მოქმედებას.

***

Ჩვენ შევიტყეთ, რომ ათონიის Iვერიის მონასტრის ბერი, ყველასგან კარგა ცნობილი, ბარკალაია სთხოვს მართებლობას, რომ ქართველთ ათონის ბერებს მიეცეს ძველი ნამონასტრეები ადგილი ბათუმის ოლქში მდებარე და ამასთან რამდენიმე ასი დესიატინა მიწა იმ პირობებით რა პირობებითაც აბხაზეთში რუსის ბერებს მისცეს მონასტერი და მიწები. Оუ მართებლობა აღასრულებს ქართველთა ათონის ბერების სურვილს, ისინი გახსნიან სკოლებს და გააგრცელებენ სარწმუნოებას და კეთილ ზნეობის სწავლას ახალ შეძენილ მხარის მცხოვრებლებთა შორის. ჩვენ იმედი გვაქს, რომ მართებლობა ამაზედ უარს არ ეტყვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ამისთანა მონასტერი უფრო ბევრ სარგებლობას შესძენს მხარეს და ხალხს ვინემ ის ვილაცა გადამთიელები, რომელთაც ამ ახლად შეძენილი მხარის მიწები ეძლევათ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანოგრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

სიტყვა,

თქმული 14-ს იანვარს ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში ეოვლად სამღვდელოის გაბრიელისაგან.

Ჩოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათთანა ზეთი, ჭურჭელთა მათთა ლამპართა მათთა თანა (მათ. კე—დ.).

Ყეთილშობილნო მოწაფენო! თქვენ უეჭველად არა ერთ გზის გექნებათ გაგონილი წმინდა ნინა საქართველოის განმანათლებელის დღესასწაულზე, რომელიც თქვენის ეკლესიის დღესასწაულიც არის, სახარებისაგან მაცხოვრის იგავი ათთა ქალწულთა ზედა. ეს იგავი იუკრობს თვის შორის დიდთა ჭეშმარიტებათა და დარიგებათა, რომელნიცა საჭირონი არიან ყოველივე ასაკისა, წოდებისა და სქესისათვის. მაგრამ მან განსაკუთრებით უფრო თქვენი ყურადღება უნდა მიიზიდოს, რადგან ამ იგავში ჩაცხოვარი იტყვის ათთა ქალწულთაზედა და უჩვენებს მათში, ხუთთა კეთილ-გონიერებასა, წინდახედულობასა, ხოლო ხუთთა სხვათა უსაფუძლო ჭკუასა და წინადაუხედველობასა; და მით შეგვაგონებს მივბაძოთ სიბრძნესა ხუთთა გონიერთა ქალწულთა, ხოლო განვეშოროთ ხუთთა უკანასკნელთა უჭკუობას და წინ დაუხედველობას.

Ხიბრძნე, კეთილ-გონიერება წინ მხედველობა—აჭა უსაჭიროესნი თვისებანი, რომლითაც უნდა იყვნენ აღჭურვილნი ყოველნი, რომელთა სურთ გაატარონ მყუდრო და კმაყოფილი ცხოვრება; მეორეს მხრით: უჭკუობა, მოუფიქრობა, წინ-დაუხედველობა—აჭა თვისებანი, რომელნიცა ყველაზე უფრო ლუპვენ კაცის ცხოვრებას ქვეყანაზე და ამიტომ ამ თვისებათა კაცი ყოველივე ღონისძიებით უნდა ერიდოს. დედათ სქესი, ჩემის აზრით, უმეტესად ისჯება ამა ნაკლულევანებათაგან. დარწმუნოებით შეიძლება სთქვას კაცმა, რომ უმეტესი ნაწილი იმა უძლურებათა, რომელნიცა შეემთხვევიან ცხოვრებაში ქალთა, წარმოდგებიან მათი მოუფიქრებელობით და უსაფუძლო ჭკუით. მაშასადამე ქვეყნიური ჩვენი ცხოვრებისათვინაც და მოქმედებისათვის კეთილ-გონიერება, წინ-გამჭვრეტელობა შეადგენენ წინდს მყუდრო ცხოვრებისას; ხოლო ამის წინააღმდეგნი თვისებანი გვიქადიან ჯავრს და უბედურებას. გარნა ყოველი რაიცა აქამომდე ვსთქვით უმეტესად ეკუთვნის და ითქმის ჩვენს სულიერს, ქრისტიანულს ცხოვრებაზე.

Ჩაში მდგომარეობენ ეს ორნი ერთმანეთის წინააღმდეგნი თვისებანი? ამას გვიჩვენებს მაგალითი ათთა ქალწულთა იგავსა ამას შინა. იგინი აღმოსავლეთის ჩვეულებისამებრ, სალამოს გამოვიდნენ ლამპრებით მიგებებად სიძისა, რომელიცა უნდა მოსულიყო თავის საცოლოსთან საქორწილოდ. სიძეს, ჩვეულებისამებრ, შეიძლებოდა დაგვიანებიყო და ამიტომ ხუთმა იმათ ქალწულთაგანმა მოიმზადეს ლამპრები და ზეთი და ამით გამოიჩინეს თავისი გამჭრიახობა და კეთილ-გონიერება; დანარჩენმა ხუთმა ქალწულმა უსაფუძლო და ჭკუისაგამო მათისა დაივიწყეს ლამპრებთან ზეთის წამოღებაც. პირველნი შეეებნენ სასიძოს ანთებული ლამპრებით, გაუვნენ მას და იქმნენ მიწვეულნი ქორწილში. მოუფიქრებელთა ხუთთა ქალწულთა გამოელიათ-ზეთი და გაუქრათ ლამპრები, და ამიტომ ვერ მოასწრეს ვერც შეგებება და ვერც გაყოლა სიძისა და ამიტომ მოაკლდნენ ქორწილში დაპატიჟებას. ეეჭველია, უმეტესმა თქვენთაგანმა უკვე იციან, რომ სიძე რომელზედაც არის ლაპარაკი იგავში, არის თვით Ოფალი Ესო Ქრისტე ჩვენი ჩაცხოვარი, ჭეშმარიტი საყვარელი სიძე ჩვენისა სულისა; ხოლო ათი ქალწულნი გვიხატვენ სულთა ყოველთა ქრისტიანეთასა, ლამპარნი და ზეთნი გამოხატვენ სარწმუნოებასა და მასთან წმინდა ცხოვრებას, რომელნიცა არიან ორი უმთავრესნი სათნოებანი ჭეშმარიტთა ქრისტიანეთა.

Ყვენ ყოველნი ოდესმე უნდა შევეგებოთ, ჩვენს ზეციერს სიძესა მეორესა მისსა მოსვლასა. ბედნიერნი იქნებიან ისინი, რომლებიც, მსგავსად ხუთთა ბრძენთა ქალწულთა ცთილობენ დაიცვან თავის სულში აღმთებული ლამპარი სარწმუნოებისა, წმინდითა ცხოვრებითა და კეთილითა საქმეებითა. იგინი შეეგებებიან თავიანთ ზეციურს სიძესა და იქმნებიან მიღებულნი მის ზეციურ სასუფეველში. წინააღმდეგ ამისა უბედურნი იქ-

ნებიან ისინი, რომელნიცა, მზგავსად ხუთთა სულელთა ქალწულთა, რომელთაც კი ჰქონდათ სარწმუნოება, მაგრამ სარწმუნოება მათი მჩატე ჭკუის და დაფანტული ცხოვრების გამო არ იყო შემკული კეთილ-საქმეთაგან, და ამიტომ მათი სარწმუნოებაც განჰქრა გულისაგან.

Ⴋაღალი სახე ბრძენისა ქალწულისა თქვენ ყოველთვის გაქვს თვალწინ თქვენი ეკკლესიის ანგელოზი—წმინდა ნინა. წარჩინებულმა დამაარსებელმა ამა თქვენი სასწავლებელისა, განსვენებულმა ელისაბედ ვორონცოვის მეუღლამ, რომელიც თვითონაც, უნდა ვსთქვათ აქა, ღირსია ბრძენთა ქალწულთა შორის შერაცხვისა, ვინაიდგან იგი თვისსა ურიცხვსა სიმდიდრესა უხვად აბნევდა კეთილთა საქმეთათვის, არა ესაფუძვლოდ დაარქვა ამ თქვენ სასწავლებელს წმიდა ნინას სახელი. მას სურდა და კიდეც ფიქრომდა, რომ წმიდა ნინას ცხოვრება იქნებოდა თქვენთვის დიდი მაგალითი და ჭკუის მასწავლებელი. წმიდა ნინა სულით და გულით მიენდო თავის სულიერს სიძეს Ⴋაცხოვარს და მის დედას. იგი ცხოველი სარწმუნოებით შეუდგა Ⴖვთის სამსახურს და აღასრულა დიდი ღვაწლი. მარტო მითი კი არ არის იგი შესანიშნავი და ღირსი თაყვანის-ცემისა, რომ მთელი ჩვენი ერი გააქრისტიანა, არამედ უმეტესად მით, რომ მისი უმანკო ცხოვრება და მისი ხასიათი ქალწულებრივი, ქრისტიანული დარჩა თესლად, რომელსაც მოჰქონდა კეთილი ნამყოფი მრავალ საუკუნოების განმამაველობაში ქართველი ქალების ცხოვრებასა შინა. მის კვალაზე და მის მზგავსად იქცეოდნენ თავის წმიდა ცხოვრებით სახელ განთქმულნი ქალნი: შუშანიკა, ქეთევანი, რიპსიმა და სხვანი მრავალნი. გარნა საზოგადოთაც სიმართლით უნდა ვსთქვათ, რომ უმეტესი ნაწილი ქართველთა ქალებისა ყოველ წოდებათა აღსრულებდნენ ყოველთა ქრისტიანულ მოვალეობათა, იყვნენ ჭეშმარიტნი დედანი სახლობათა, მეტად უყვარდათ თავიანთი შვილები და ქმარნი, ხშირად გასაჭირ საზოგადო საქმეებში იყვნენ მხნენი და კეთილნი თანაშემწენი თავიანთ ქმართა, არა ერთხელ ხელში იარაღით შეხდომიან ქმრებთათანა მტერთა და დაუფარავთ სამშობლო. მაგრამ, ჩემის აზრით, უფრო მოსაწონი იყო მათი უბრალო, ზომიერი, ფხიზელი და შრომის მოყვარული ცხოვრება; ყველა ახლანდელნი ქალებისათვის ამისთანა წინანდელი ქალების ხასიათი შეადგენს უძვირფასეს მაგალითს მისაბაძავად. ყველამ იცის, რომ ამ ჩვენი საუკუნის დასაწყისამდის და ახლანდელ განათლებამდის, ქართველნი ქალნი თავის ხელის ნაწარმოებით იცვამდნენ თავის ტანს და აგრეთვე აცვამდნენ მთელ თავიანთ სახლობასაც. ეს მეტად საქები რამ იყო, რადგან ამით დიდს შემწეობას აძლევდნენ თავიანთ ქმართა, რომელნიც მუდამ ჩხუბში იყვნენ და იცავდნენ თავის ქვეყანასა და სარწმუნოებასა. მართალია, რომ ძველმა ქართველმა ქალებმა არ იცოდნენ ჩაცმა ახალ მოდაზე და არც ფრანცუზულ ენაზე ლაპარაკი, მაგრამ ზრდიდენ ტანმრთელ შვილებს, რომლებსაც აჩვევდნენ ყოველივე გაჭირვების ატანას და სარწმუნოების დაცვისათვის თავის გამომეტებას.

Ⴄს იყო აგერ ახლა! რაღა იქნება ამის შემდეგ, რითი გამოიჩენენ თავს აქაური ქალები, აღზრდილნი ევროპიულად? ეს მხოლოდ Ⴖმერთმა უწყის! ბევრნი გარემოებანი ეხლანდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა ვერ გვიქადიან ჩვენ კარგს მომავალს. მხოლოდ ჩვენი მოვალეობა არის გაგაფრთხილოთ თქვენ, კეთილ-შობილნო მოწაფენო! ამ სასწავლებელში მიიღებთ თქვენ განათლებას: აქ ნერგვენ თქვენს სულში მეცნიერების ლამპარს; ეს კარგი საქმეა, მაგრამ ერთი მხოლოდ განათლება ვერ გიხსნით თქვენ ზნეობით დაცემისაგან, არამედ იგი გახდება თქვენ დამღუპველად, თუ ამასთანავე თქვენი ცხოვრების გზა არ იქმნება მუდამ განათლებული სარწმუნოების ლამპრით, ანთებულით წმიდა ზეთით ე. ი. წმიდა ცხოვრებით და კეთილ საქმეებით. ცუდი დროა ეხლა? ხალხის ტვინში იბადებიან მრავალნი დამღუპველნი აზრნი და მისწრაფებანი, რომელნიც აქრობენ კაცში სარწმუნოებას. იღუპებიან ბევრნი განათლებულნი ქალწულნი თავის სუსტი ჭკუის და დაუდეგარი ხასიათის გამო. როცა Ⴖვთის შემწეობით დაიწყებთ თქვენ თავისუფალს ცხოვრებას, მტკიცედ დაიხსომეთ Ⴖვთის სჯული, რომელიც თქვენ აქ ისწავლეთ, ერიდეთ როგორც ჭირს, ყოველივე კაცს, რომელიც გაშორებს თქვენ Ⴖმერთს და აქრობს თქვენში თქვენი სარწმუნოების ლამპარს. წინააღმდეგ ამისა თქვენ თვითონ გაბედვით და მხნედ იმეცადინეთ დარიგება ყველა თქვენის მაცდუნებელისა. ცხოვრება კაცის არის ბრძოლა კეთილისა და ბოროტისა შორის; ყოველივე წინააღმდეგობა კეთილისა და მიდრეკილება ბო-

როტისადმი, თუ კაცს არ სცხვენიან და არ ინანებს თავის შეცოდებას, არის დასაწყისი დაცემისა და დაღუპვისა. ბოროტებას, ცოდვას და ცუდთა გულის თქმათა არ შეუძლიათ კაცი ბედნიერი გახადონ, არამედ იგინი ღუპვენ ყოველ კაცს.

ყეგეწიოსთ თქვენ ზეციური სიძე—ჩაცხოვარი, რომ თქვენ ყოველთვის იყოთ მომხრე კეთილისა და სიწმიდისა, რომ თქვენ მსგავსად ხუთთა ბრძენთა ქალწულთა სარწმუნოების და სათნოების ლამპრებით მზად იყვნეთ მიგებებად მისა. ამინ.

სად არიან საქართველოს ღვთის-მშობლის ხატი და კვართი უფლისა ჩვენისა იესოსი?

ძველიდგანვე საქართველოზე დიდი გავლენა ჰქონდათ სპარსელებს მაგრამ მათი გავლენა უფრო ძლიერი და შემმუსრავი იყო საქართველოსთვის შაჰაბაზის დროს. შაჰაბაზი ცდილობდა შეემცირებინა საქართველოში ქრისტიანული წესები და ამგვარად მოემზადებინა ქართველი ერი მაჰმადის სარწმუნოების მისაღებად. თავის მიზნის მისაღწევად ის ძალდატანებასაც ხმარობდა. ერთხელ მან მოინდომა, რომ მეფის თეიმურაზის პირველის დედას მაჰმადის სარწმუნოება მიეღო და მერე იმედი ჰქონდა შაჰაბაზსს, რომ სხვანიც მიბაძავდნენ დედოფალს, მაგრამ ქეთევან დედოფალი წინააღმდეგი გახდა. მაშინ შაჰაბაზმა ბრძანა, რომ დედოფალი ტანჯვით მოეკლათ და როგორ იქმნა ტანჯული ქეთევანი, ამას ცხადად გვიხატავენ თ. გ. ორბელიანის სიტყვები:

„ტრონი იცვალნენ (შემდეგ თამარისა) იხილეთ ქე-
თევან ნაზად აღზრდილი
მამულისათვის იტანჯვის სარწმუნოების დამცველი!
ხორც დაგლეჯილი შანთებით მკერდზედა ცეცხლ ანთებული,
სულის სიმაღლეს გიმტკიცებს ზეცად დიდებით აღმასვლე-
ლი“.

როგორცა ზევითა ვსთქვით, შაჰაბაზიმ ბევრჯელ აოოხრა საქართველო თავის ჯარებით. მისი ჯარის კაცები ხშირად იტაცებდნენ საქართველოდამ, სხვათა შორის, მრავალ წმიდა და პატიოსან ხატებს და სხვა ეკკლესიების სამკაულებს. ეს ნივთები თუმც მათთვის არ იყვნენ საჭირო, მაგრამ ამ ნივთებს ისინი მიჰყიდდენ ხოლმე რუსის ვაჭრებს, რომლებიც ამ დროს სავაჭროთ დადიოდნენ სპარსეთში. ეს უკანასკნელნი ამ ნაყიდ წმიდა სამკაულებს ისე ეპყრობოდენ, როგორც მათი მართლ-მადიდებელი სარწმუნოება მოითხოვდა.

სხვათა ხატთა შორის სპარსელებმა მოიტაცეს საქართველოდამ ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლის ხატი, მეტად მშვენიერად მორთული ვერცხლითა და ოქროთი. ეს ხატი ერთმან სპარსმან მიჰყიდა ერთ რუსის ვაჭრის ნოქარს (**прикащикъ**) სტეფანეს, რომელიც ქალაქ იაროსლავიდგან იყო. იმ დროს, როცა სტეფანემ ეს ხატი იყიდა, მის აღას გიორგის ძილის დროს, მოეზმანა შემდეგი: „შენმა ნოქარმა სტეფანემ, რომელიც იმყოფება სპარსეთში, იყიდა შენთვის უსასყიდლო მარგალიტი და, როცა მან მოგიტანოს შენ ის, გაგზავნე ხატი იგი მთასა შინა შავსა. როცა გიორგიმ გაიღვიძა, მოუთმენლად ელოდა ამ მარგალიტის ხილვას და უნდოდა შეეტყო, თუ სად იყო იგი ადგილი შავისა მთისა. ბოლოს, როცა მოვიდა სტეფანე სპარსეთიდამ, მოუტანა თავის აღას პატიოსანი ხატი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა და მაშინ ღვთის შთაგონებით მიხვდა გიორგი, რომ ესე იყო უსასყიდლო იგი მარგალიტი და შეუდგა იმ შავი მთის ძებნას. ეს შავი მთა ნახა მან არხანგელის გუბერნიაში, სადაც იყო მონასტერი, სახელად ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა. ამავე სახელით იხსენება ეს მონასტერი დღემდე. ამ მონასტერს შესწირა ვაჭარმა გიორგიმ ბევრი თავის მონაგები ოქრო და ვეცხლი და მრავალი წიგნები. ამ ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლის ხატის ძალით იქმნა განკურნებული ერთი ამ მონასტერის მღვდელ-მონაზონი მიტირიონ, რომელიც იყო ბრმა და ყრუ და იმყოფებოდა მონასტრის სამკურნალოში. მან ერთ დღეს, ლოცვის დროს, იხილა სინათლე და მასთან იხილა სახე ღვთის-მშობლისა. ამის შემდეგ მას მიენიჭა თვალთა ხედვა და ყურთა სმენა. როცა ეს ამბავი გაიგეს მონასტერში, ყველა ღვდელ-მონაზონი ადიდებდნენ საქართველოის ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლის ხატსა. ეს რომ ნახა ღვთის-მოშიშმა გიორგიმ, ააგო იმ მონასტერში მშვენიერი ტაძარი ღვთის სადიდებლად. ამავე საქართველოის ღვთის-მშობლის ხატს აწერენ ბევრ სასწაულთ-მოქმედებას ამ მონასტერში. ამ ღვთის-მშობლის ხატიდგან გადმოიღეს ნახატი, რომელიც დღესაც ასვენია ქ. მოსკოვის ერთ დიდ ეკკლესიაში, რომელსაც ჰქვია ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესია.

ამავე შაჰაბაზის დროს იქმნა მოტაცებული საქართველოდამ კვართი უფლისა ჩვენისა იესოსი,

რომელიც ურწმუნო შაჰაბაზმა სხვა სიმდიდრესთან უძღვნა კეთილ მსახურს რუსეთის მეფეს მიხაელ თეოდორეს ძეს. ამ უკანასკნელმა მიიღო ეს და სხვა ნივთები დიდის კრძალვით. ეს კვართი ეხლა არის დასვენებული მოსკოვში, პეთის-მშობლის ეკლესიაში და განწესებულია ამის დღესასწაული 12-ს ივლისის თვესა.

ვინმე მღვდელი.

ცხოვრება ღირსისა მამისა ჩვენისა იოანეს გლახაკისა.

ათხასი წელიწადი იქნებოდა ქრისტეს შემდეგ, რომ ცარგრადში სცხოვრებდა ერთი მდიდარი, დიდებული სამხედრო წოდების პირი სახელდობრ ევტროპი; მის ცოლს ერქვა თეოდორა. მათ ჰყავდათ სამი შვილი: ორი მათგანი მშობლებმა მისცეს სახელმწიფო სამსახურში, ხოლო მესამე უმცროსი, მცირე წლოვანი იოანნე, შინ იყო. იოანნე იყო ძლიერ დასაჩუქრებული გონებით, ნიჭით ‡ ირჩეოდა სხვებთაგან გონიერი აზროვნებით, დამახსოვნებით, ‡ ამასთან ის იყო მშვიდი ‡ პეთის მოყვარე: ერთი რომელიმე სამღრთო წიგნი, რომელთაგან პირთა ზედა კეთილ-მსახურებრივი მოთხრობა უფრო ატკბობდენ ‡ ასიამოვნებდენ მას ვინემ მისი სათამაშოები. ერთ დროს მისი თხოვნისამებრ მშობლებმა აჩუქეს მას ერთი ჰატარა ტანის სახარების წიგნი მვირფას ყდაში ჩასმული; ამ საჩუქარს ის ყველაზე უმეტესად აფასებდა ‡ არასოდეს ხელიდან არ იშორებდა. ერთხელ მოხდა, რომ იმ შკოლაში, რომელშიაც სწავლობდა იოანნე, შევიდა ერთი მეუდაბნოე ბეთანიის დაუძინებელთა მონასტრიდან; იოანნემ დაუწყო გამოკითხვა მას ‡ ბოლო აღარ ჰქონდა მის გამოკითხვას: გამოჰკითხა მან იერუსალიმის წმიდა ადგილებზე, ბეთანიის დაუძინებელთა უდაბნოზე ‡ მას შინა ბერების ცხოვრებაზე. ძლიერ მოეწონა ‡ შეუყვარდა მას მეუდაბნოეთა ცხოვრება ‡ გადაწყვიტა უთუოდ წასვლა ბეთანიაში ‡ მიღება ბერობისა. ამ განზრახვას იოანნე თავის გულში ინახავდა საიდუმლოთ, არც მშობლებს ‡ არც არავის სხვას არ ეუბნებოდა, რასაკვირველია, იმ აზრით, რომ მშობლებს არ მოეშალა მისი უდაბნოში წასვლა. იოანნემ თავისი სურვილი შეასრულა რამდენიმე თვის შემდეგ: ის გაეცა ფარულად პირველად ნახულ ბერს, რომელიც იერუსალიმიდამ ბეთანიაში მიდიოდა. მწუხარე მშობლები დიდხანს ეძიებდნენ თავის საყვარელ შვილს, მაგრამ ეველა მათი შრომა ამაო შეიქმნა. ბოლოს ისინი დარწმუნდნენ, რომ მათ შვილს უთუოდ რაიმე დიდი უბედურება ეწია ‡ ცოცხალი აღარ ეგონათ ქვეყანაზე. მაგრამ მათი შვილი კი უდაბნოში შევიდა ‡ დაიწყო წმიდა ბერული ცხოვრება. თავისი სასტიკი ბერული ცხოვრებით იოანნე აკვირებდა მოხუცებულ ბერებს. იოანნე დარჩა უდაბნოში ექვსი წელიწადი. ბოლოს პეთის განგებულებით მოუნდა მას თავის მშობლების სახლში წასვლა. ის დარწმუნებული იყო, რომ ეს სურვილი ბოროტებისაგან იყო მოვლენილი ‡ ამ აზრის იქვნენ ეველა მეუდაბნოენიცა. იოანნემ ვერ დასძლია ამ სურვილს ‡ გადაწყვიტა თავიანთ მშობლების სახლში დაბრუნება, მაგრამ მისცა აღთქმა ეველა მეუდაბნოეთა, რომ ის ბერულ ცხოვრებას განაგრძობდა მშობლების სახლშიაცა. უდაბნოს ძმები დაეთანხმენ მას ამ სურვილზე, აკურთხეს იგი ‡ გამოისტუმრეს. იოანნე შეხვდა ერთ გლახაკს; მისცა მან თავისი ტანისამოსი ‡ შთაიცვა მისი დამონძვილი ტანისამოსი; ‡ დაღამების დროს მოადგა თავის მშობლების სახლს. მთელ ღამეს

იგი დარჩა ქუჩაზე გარეთ. დილაზე, როდესაც სახლის კარები გაიღო, იოანნემ მოინდომა ეზოში შემოსვლა, მაგრამ მეკარემ არ შემოუშვა იგი. ბევრი თხოვნის შემდეგ შეებრალათ, როგორც მეკარეს, ისე სახლის მოურავს და შემოუშვებდენ ხოლმე როგორც ეზოში ისე ხან-დის-ხან სახლშიაცა. სახლის პატრონი იყო კაცი გულ-ჩვილი, გლახაკთა შემბრალე და მოწყალე და უბრძანა თავის სახლის მმართველს, რომ მიეცათ სადმე ერთი პატარა დასადგომი სახლის ეზოში. ბოლოს მას გაუკეთეს ერთი პატარა კარავი სახლის ეზოში, რომელშიაც დააყენეს იგი. ძონძიან გლახაკის ტანისამოსში და დიდის მარხულობით შეწუხებული და გამოცვლილი სახით ვერავინ ვერ იცნო თუ ამ კარავში სცხოვრებდა სახლის პატრონის შვილი, მემკვიდრე მდიდარი სახლისა. მოსამსახურენი ხან-დის-ხან ეფერებოდენ იოანნეს, მაგრამ არა იშვიათად ითმენდა იგი მათგან შეწუხებასაცა. მშობლები მისი, განსაკუთრებით, მამა მისი, არასოდეს არ აკლებდა მას თავის გრძნობას და შებრალებას. ვინ იცის, იქნება ჩვენი შვილიც ამისთანა სიღარიბეშია სადმე; შევიბრალოთ ეს საწყალი გლახაკი; იქნება Ⴓფალმა ინებოს, რომ ჩვენი შვილიც ასე შეაბრალებინოს სხვას, ხშირად იტყოდა ხოლმე ამ სიტყვებს თავის ცოლთან ევტროპი. იოანნე, ცხოვრებდა რა თავისი მამის ოჯახში, არასოდეს არ აგდებდა თავის ბერულ მოღვაწეობას, რომელზედაც აღთქმა მისცა ბეთანიის უდაბნოდამ წამოსვლის დროს ძმათა თვისთა. ბოლოს მოახლოვდა დრო მისი აღსრულებისა, რომელიც მან შეიტყო წინათვე. აღსრულებამდის იოანნემ სთხოვა მოსამსახურეს, რომ მასთან მისულიყო ქალბატონი სახლისა, რომელსაც უნდა განუცხადოს მან ერთი რამე შესანიშნავი ამბავი. თეოდორამ პირველად არ მიაქცია ყურადღება გლახაკის თხოვნას, მაგრამ ბოლოს დათანახმდა მისი თხოვნის მოსმენას. მხურვალე გულით და სიტყვებით ჰმადლობდა იოანნე მას და სახლის პატრონს იმ პატივის-ცემისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს მას მათ სახლში. Ⴋაცხოვრის სიტყვებით არწმუნებდა მათ, რომ ყველა იმ მოწყალებას, რომელიც მათ მას აღმოუჩინეს, მიიღებს Ⴓფალი მათგან. ბოლოს ქალბატონს სთხოვა ერთი მისი სურვილის აღსრულება, რომელიც მდგომარეობდა მას შინა, რომ ის დაემარხათ მის უბრალო ტანისამოსებში და იმ კარავში, რომელშიც იდგა იგი. დასასრულ მადლობის და კურთხევის ნიშნად მან გამოიღო უბიდამ ერთი პატარა ძვირფასი ყდაში ჩასმული სახარება და მისცა ქალბატონს. დახედა თუ არა მიცემულ სახარებას, თეოდორა გაკვირდა; მოუწოდა ქმარს და ერთად დააკვირდენ სახარების წიგნს. ეს ხომ ჩვენი შვილის სახარება არის, გაკვირვებული ეკითხებოდნენ ერთმანეთს ცოლ-ქმარნი. მიუბრუნდნენ გლახაკს და Ⴕრისტეს სახელით სთხოვეს მას ეთქვა მათთვის მართალი: ვინ მისცა მას ეს სახარება, ანუ ვისგან და როგორ შეიძინა მან იგი.

Ⴂული ეხუთებოდა იოანნეს მწუხარებისაგან; ცრემლები აწვებოდა მის თვალებს, რომელსაც ის ძლივს იჭერდა, მაგრამ ვეღარ მოითმინა და ერთბაშათ წყალივით მოსდინდა თვალებითგან. ,,მე ვარ თქვენი შვილი იოანნე", უთხრა მან თავის მშობლებს. როგორც ქუხილისაგან შეშინებულნი გაშტერდნენ მისი მშობლები ამ უეცარი გამოცხადებით და შვილის ნახვით. სიხარულისაგან ცრემლებით თვალებ აღვსილნი მშობლები დავარდნენ მის საწოლზე და ეხვეოდნენ თავზე და ჰკოცნიდენ მას. მშობლების მოფერებას აღარ ჰქონდა სამძღვარი. ყველა ნაცნობები ევტროპისა

შეიკრიბნენ ხილვად საოცარი სანახავისა და იხარებდენ ერთად მათთან შვილის გამოჩენაზე. მაგრამ ეს სიხარული ყველასთვის მალე შეიცვალა მწუხარებად. იოანნე რამოდენიმე საათის შემდეგ მიიცვალა. მშობლებმა დაბარებისამებრ განსვენებულისა დამარხეს იგი იმ კარავში, რომელშიც იდგა იგი. ამ ადგილზე ააშენეს მათ ბოლოს ეკკლესია და გლახაკთა შესანახავი სახლი მის სახელობაზე. იმავე ადგილზე იყვნენ იოანნეს მშობლებიც დამარხულნი. ღირსი იოანნეს ხსენებას წმიდა მართლ-მადიდებელის ეკკლესია აღასრულებს თუთხმეტ იანვარს.

მიბაძვა ႰႫႦ ფსალმუნისა.

ჰქებდით უფალს ცისა და ქვეყნის, კაცთა და პირუტყვთ არ რისგან შემქმნელს,
ვინათგან იგი კაცს ბნელში მყოფსა, თვის გულ-უხვობით მოუვლენს ნათელს,
უსამართლობით დაჩაგრულს ერში აღზრდის გმირებსა მამულის დამხსნელს,
მისს დედა-ქალაქს კვლავად აღადგენს, ერთობას მისცემს ძალისა მომგვრელს!
დიდია ღმერთი ძლიერებითა, რიცხვი არა აქვს გულის ხმას მისას,
ჩაგრულსა ჰშველის, მჩაგვრელსა სდევნის, აწბილადაბლებს მძლავრობას მისას;
ცას ღრუბლით ჰმოსავს, უმზადებს წვიმას გამოუნაკლოდ მთლად მსოფლიოსა,
რომ მიწამ მოსცეს უხვ-მოსავალი ყოველ არსთათვის თავ-თავის დროსა.
ღმერთს არ ჰთნავს ძალა უგნურებისა, არცალაერი მრავალი რიცხვის,
უკეთუ იგი ზნისა არისმცა სხვათა ჩაგვრისა, დევნისა ურიცხვის;
უფალს იგი ჰთნავს და იგი ხალხი, ვინც ესავს იმის წმიდასა მცნებას:
ჩაგრულთა შველას, მჩაგვრელთა დევნას, თავისუფლებისა მისწრაფებას!

* *

წინასწარმეტყველი დავითი.

ვნახე ჭაბუკი, მწყსიდა ცხოვართა,
მას ხელშიდ ეპყრა მშვენივრად ქნარი
და წმიდა საღმრთო საგალობელთა
ზედ დამღეროდა მისი ხმა წყნარი:

—

„უნცროსი ვიყავ მე ჩემ ძმებშიდა,
ცხოვართა მწყემსად განწესებული,
მაგრამ ღვთის მიერ მე ხვედრი წმიდა
შობიდგან მჰქონდა განმზადებული.

—

მან მცხო ზეთითა, მომცა უფლება,
მისს რჩეულ ერსა ზედა მეფობის
და განმაშორა თავიდგან ვნება
ჩემთა ცოდვათა უბადრუკების.

—

რომელსაც უყვარს მდაბალი გულით
და ცოდვათათვის სულ-შემუსვრილი
იმას შევამკობ მე წყნარის ქებით,
იმას ვადიდებ მე ცოდვა-ქმნილი.

—

ოხ! გულო, განცხრი, სულო აღსდეგი,
ღმერთმან მინება მე მონა თვისი,
ვეღარას მავნებს წინააღმდეგი
თუმც მადლი მფარავს მე წმიდა მისი".

—

ვნახე ჭაბუკი, ხელთ ეპყრა ქნარი,
ზედ დამღეროდა წმიდა გალობას;
იმისი სახე მშვიდი და წყნარი
დამიმტკიცებდა მის სასოებას.

—

იმისი ქნარი და მის ხმა წყნარი
სიწრფოებითა გულს მიღელვებდნენ
და სასტიკათა, ვითარცა ნარი,
გულის სევდასა განმიგმირვიდენ.

ილ. ფერაძე.

ნარევი

Გაზეთებში აწერილია ერთი საზარელი ამბავი, რომელიც მომხდარა ამერიკის კიდეებთან. 6 იანვარს, მასაჩუზეტის შტატის ნაპირებთან, ქალაქ ბოსტონის მახლობლად, დაიღუპა ზღვაში გემი, რომელსაც თან გადაჰყვა 104 ადამიანის სიცოცხლე. გემში იყო თურმე 45 კაცი ეკიპაჟისა და 81 მგზავრი. მგზავრთა უმეტესი ნაწილი შესდგებოდა ქალებისა და ყმაწვილებისაგან. შეცურდა თუ არა გემი ზღვაში, დასავლეთიდამ ასტყდა საშინელი ქარიშხალი. ზღვა დაუდგრომლადა ღელავდა. მწვავე სუსხი სიცივისა არ აყენებდა პალუბაზე არავის. მარტო საცოდავი მსახურნი ძრწოდენ მაღლა სიცივით. პარასკევს, დილა ადრიან, უცებ გემი დაეჯახა კლდესა და შედგა. გემის კაპიტანმა უკან მისცა ორთქლის ძალა და დასწია გემი, რომელიც ეგონა არ გატეხილაო. გემმა დაიწია უკან, მაგრამ რაღა დროს: უცებ წყალმა თქრიალით შემოჰხეთქა შიგ. შიშისაგან ზარ-დაცემულს ხალხს გამოეღვიძა. კატასტროფა ყველას თვალ-წინ ედგა. გემმა ძირს დაიწია, დასძირა. გაშფოთებული ზვირთები ეძგერებოდენ თურმე პალუბასა და დაუნდობლად იტაცებდენ წყალში საცოდავ ხალხსა. ბევრი მამაკაცი აცოცდა მაღალ ანძებზე, მაგრამ სიცივისაგან შეწუხებულნი, არჩევდენ ისევ წყალში ჩაცვივნას და დაღუპვას. კაპიტანმა აახსნევინა ნავები, ზოგმა მოასწრო შიგ ჩაჯდომაც, მაგრამ ვერც იმათ უშველეს თავსა: იქაც საშინელი სიკვდილი ელოდა ყველას.

Ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობაში მიეშველა დაღუპვილს გემს სხვა გემი, სახელად Dexter რომელმაც მოასწრო მხოლოდ რამდენიმე კაცის დახსნა გაჯავრებული ზღვის ზვირთებისაგან. 126 კაცში გადარჩა მხოლოდ 22 სული. მათში 13 კაცი გემის ეკიპაჟს ეკუთვნის, 9—მგზავრებს. გადარჩენილები სულ მოზდილი ხალხია. დედა-კაცების და ბავშვებისაგან ერთიც ვერ დაუხსნიათ ამ საშინლის განსაცდელისაგან. (დროება).

*
* *

Ერთმა ორსულმა დედაკაცმა დაინახა, რომ წყალში იხრჩობოდა კაცი. ჩავარდა წყალში და დაიხსნა სიკვდილისაგან წყალ წაღებული. შეატყობინეს პოლიციას, რომელიც მოვიდა და ყველაფერი ცნობები შეჰკრიბა. აღმოჩნდა საქმიდგან, რომ მშველელმა, ორსულმა ქალმა თავის თავი გაიმეტა სხვის საშველად. წარადგინეს დასაჯილდოებლად და როდესაც ხელმწიფე იმპერატორს მოახსენეს ეს საქმე, გაახსენეს ამასთან მას, რომ ამისთანა შემთხვევა იყო იმპერატორის ნიკოლოზის დროს 1827 წელშიო. იმპერატორმა ნიკოლოზმა ის დედაკაცი ამნაირად დააჯილდოვაო: ვეცხლის მედალის მაგიერ უბოძა ოქროს მედალიო; თუ ვაჟიშვილი დაებადოს გამოიზარდოს სახელმწიფო ხარჯით იმ სასწავლებელში, რომელიც დედამ აღირჩიოსო და თუ ქალი დაებადოს ათასი მანეთი მის მზითვათ მიეცეს ხაზინიდამაო. ხელმწიფე იმპერატორმა მოისმინა თუ არა ეს, მანაც ბრძანა ამისთანა მოწყალების მინიჭება და დაჯილდოება ამ ქალისა.

*
* *

ყველა გაზეთებზე უძველესი გაზეთი. ერთი ფრანცუზული გაზეთი მოგვითხრობს, რომ შენახულა ერთი რომული გაზეთის ნომერი, წოდებულის: ,,აკთა რომანი დიურნა!‘‘ ეს გაზეთი გამოდიოდა ას სამოცდა რვა წელში ქრისტეს შობამდის. აი ამ გაზეთის შინაარსი: ,,დღეს დეჟურნათ იყო კონსული ლევინი. ნასადილევს იყო ძლიერი ჭექა. ველის გირაკის სიახლოვეს მეხი ელვით დაეცა მუხას და დაგლიჯა. ტრაკტირში, რომლის გამოსაკიდზე აწერია ,,დათვი‘‘, მოხდა ჩხუბი, ტრაკტირის პატრონი დაიჭრა. ედილ ტილინმა დაშტრაფა მეყასბეები, რადგან მთავრობის შეუმოწმებლად დაეკლათ საქონელი. ჯარიმის ფული შეწირული იქნება სალოცავის ასაშენებლად. ყაჩაღების მოთავე დსპინფანი დაიჭირა ლეგატმა ნავამ და დღეს ჯვარს აცვეს.‘‘ ფრანცუზული გაზეთის სიტყვით ეს გაზეთი ბევრათ ჰგავს ეხლანდელი დროის გაზეთებს ზოგიერთი შინაარსით.

*
* *

ჭიების წვიმა. აბოს ქალაქის მახლობლად დიდი ბუქის დროს ცვიოდნენ პატარა შავ თავებიანები ჭიები და ხოხავდნენ თოვლზე. იმათში ზოგიერთ ადგილას შენიშნავდით ჭიაყელა ჭიებსაც. ამისთანა შემთხვევა უკანასკნელ დროებში შვეციაშიაც მომხდარა ხოლმე.

*
* *

სხვა და სხვა ნაირი რწმუნება. ვენაში მყოფობის დროს, ინგლისის ტახტის მემკვიდრე იყო მიპატიჟებული შაბათ საღამოს ბალზე. მასპინძელს უთხრა: ,,ნება მომეცით შუაღამის შემდეგ დავსტოვო ბალი, რადგანაც კვირა მომავალია და ჩემი სარწმუნოება მიშლის მე კვირა დღეებში თამაშობას და ამისთანა საქციელი კვირა დღის სიწმიდის დამარღვეველია.

სპარსეთის შაჰხმა, როდესაც ის ევროპაში მოგზაურობდა, გამოაცხადა საყოველთაოდ, რომ ის დიდი სიამოვნებით მიიღებს დაპატიჟებას და წავა იმ სადილებზე, რომელსაც მას პატივის ცემის ნიშნად უმართვენ, მაგრამ ის არ მიიღებს იმისთანა საჭმელს, რომელსაც მას სარწმუნოება უკრძალავს.

ერთ დროს ფრანფურტში იყო დაპატიჟებული ერთი მდიდართაგანი როტშილდი სასახლეში სადილზე, მაგრამ ებრაელი სარწმუნოებისაგან აღკრძალული საჭმელი არც ერთი არ ჩაუდვია პირში.

ეხლა შეხედეთ ზოგიერთ ჩვენებს, როგორ იქცევიან და როგორ ასრულებენ თავის რელიგიურ მოთხოვნილებას და წესებს!.. ხალხი, რომელიც მტკიცედ არ იცავს თავის რელიგიას და არ ასრულებს მის მოთხოვნილებას მალე დაიღუპება.

Дозв. цензурою Кутаисъ, 16 Февраля 1884 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.